განკარგულება:**g-49. 49262396**
თარიღი:**27/08/2026**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და „Rockefeller Philanthropy Advisors, Inc.“-ს შორის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 24 აგვისტოს №48-48262361 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ „Bloomberg Philanthropies“-ის მიერ დაფინანსებული „Youth Climate Action Fund“ / „ახალგაზრდების კლიმატური ქმედებების ფონდი“ პროგრამის ფარგლებში, „Rockefeller Philanthropy Advisors, Inc. (RPA)“-ის მიერ გაცემული 50 000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ოდენობის გრანტი უნდა მიიღოს.

პროგრამა მიზნად ისახავს ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობას ადგილობრივი კლიმატური გამოწვევების გადაჭრაში, ხოლო გრანტი ძირითადად ახალგაზრდების მიერ ინიცირებული კლიმატური პროექტების დაფინანსებას მოხმარდება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილების შესაბამისად :

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და „Rockefeller Philanthropy Advisors, Inc.**“-ს** შორის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი